

**ვიბრო
დიაგნოსტიკი,
უცხოური საწარმოს
Vibro Diagnostik –
F.Z.E-ის ფილიალი**

ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31
დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

1

ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის:

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება	2
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	4
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება	5

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებაზე:

1. ზოგადი ინფორმაცია	6
2. ახალი და შესწორებული ფინანსური საერთაშორისო სტანდარტების ინტერპრეტაციების გამოყენება	6
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	7
4. კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები და მოსაზრებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებასთან დაკავშირებით	15
5. გადაანგარიშება	16
6. ამონაგები	19
7. ამონაგების თვითღირებულება	19
8. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	19
9. ძირითადი საშუალებები	20
10. აქტივის გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულებები	20
11. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	21
12. ფული და ფულის ექვივალენტები	22
13. ნასესხები სახსრები	22
14. მიღებული ავანსები	23
15. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	23
16. ფინანსური ინსტრუმენტები	23
17. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	27
18. გარანტიები და პირობითი ვალდებულებები	28
19. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები	30
20. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება	30

„ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე“

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს ვიბრო დიაგნოსტიკის, უცხოური საწარმოს - Vibro Diagnostik F.Z.E-ს ფილიალის („ფილიალი“) ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი ოპერაციების შედეგებს, კაპიტალის ცვლილებასა და ფულადი ნაკადების მოძრაობას 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა ფილიალის ფინანსურ მდგომარეობასა და ფინანსურ შედეგებზე;
- ფილიალის უწყვეტად ფუნქციონირების მუშაობის უნარის შეფასებაზე;

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ფილიალის ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის ფილიალის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს ფილიალის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობას.
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე ადგილობრივი კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- ფილიალის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

ფილიალის ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2022 წლის 1 ნოემბერს:

ხელმძღვანელობის სახელით:

სოლიკო ფრიდონაშვილი
გენერალური დირექტორი

თბილისი, საქართველო
1 ნოემბერი 2022

ლაშა ხარეზავა
მთავარი ბუღალტერი

თბილისი, საქართველო
1 ნოემბერი 2022

ვიბრო დიაგნოსტიკი, უცხოური საწარმოს - VIBRO DIAGNOSTIK F.Z.E-ს ფილიალი

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრისთვის დამთავრებული წლისთვის
(ათას ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2021	2020 (გადაანგარიშებული)
ამონაგები	6	11,057	9,283
ამონაგების თვითღირებულება	7	(7,386)	(5,023)
მთლიანი მოგება		3,671	4,260
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	8	(1,013)	(1,068)
დარეზერვებული და ჩამოწერილი ნაშთების აღდგენა		551	687
ფინანსური შემოსავალი		15	11
ფინანსური ხარჯი	10,13	(6,580)	(6,946)
საკუთრო სხვაობით გამოწვეული მოგება/(ზარალი)		5,598	(13,053)
სხვა შემოსავალი, წმინდა		438	38
სულ წლის სრული მოგება/(ზარალი)		2,680	(16,071)

ხელმძღვანელობის სახელით:

სოლიკო ფრიდონაშვილი
გენერალური დირექტორი

1 ნოემბერი 2022
თბილისი, საქართველო

ლაშა ხარებავა
მთავარი ბუღალტერი

1 ნოემბერი 2022
თბილისი, საქართველო

6-30 გვერდებზე მოცემული თანხმლები შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ვიბრო დიაგნოსტიკი, უცხოური საწარმოს - VIBRO DIAGNOSTIK F.Z.E-ს ფილიალი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრისთვის დამთავრებული წლისთვის

(ათას ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020 (გადაანგარიშ ებული)	1 იანვარი 2020 (გადაანგარიშებ ული)
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	9	11,636	11,812	12,006
აქტივის გამოყენების უფლება	10	1,069	997	1,076
არამატერიალური აქტივები		3	3	3
შეზღუდული ფული		200	200	200
სულ გრძელვადიანი აქტივები		12,908	13,012	13,285
მიმდინარე აქტივები				
მარაგები		36	35	-
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	11	117	486	151
გადახდილი ავანსები და სხვა მიმდინარე აქტივები		70	57	92
ფული და ფულის ექვივალენტები	12	1,762	279	399
სულ მიმდინარე აქტივები		1,985	857	642
სულ აქტივები		14,893	13,869	13,927
კაპიტალი				
სააქციო კაპიტალი		8,878	6,240	6,240
დაგროვილი ზარალი		(115,870)	(118,550)	(102,479)
სულ კაპიტალი		(106,992)	(112,310)	(96,239)
ვალდებულებები				
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები				
ნასესხები სახსრები	13	48,306	57,444	53,688
საიჯარო ვალდებულებები	10	1,527	1,510	1,445
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		49,833	58,954	55,133
მიმდინარე ვალდებულებები				
ნასესხები სახსრები	13	46,890	43,504	32,240
საიჯარო ვალდებულებები, მიმდინარე ნაწილი	10	978	907	558
გადასახდელი გადასახადები		779	734	744
მიღებული ავანსები	14	10,828	8,936	9,192
სავაჭრო და სხვა კრედიტული დავალიანება	15	12,577	13,144	12,299
სულ მიმდინარე ვალდებულებები		72,052	67,225	55,033
სულ ვალდებულებები		121,885	126,179	110,166
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		14,893	13,869	13,927

ხელმძღვანელობის სახელით:

სოლიკო ფრიდონაშვილი
გენერალური დირექტორი

1 ნოემბერი 2022

თბილისი, საქართველო

6-30 გვერდებზე მოცემული თანხმლები შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ლაშა ხარეზავა
მთავარი ბუღალტერი

1 ნოემბერი 2022

თბილისი, საქართველო

ვიბრო დიაგნოსტიკი, უცხოური საწარმოს - VIBRO DIAGNOSTIK F.Z.E-ს ფილიალი

კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრისთვის დამთავრებული წლისთვის

(ათასქართულ ლარში)

	სააქციო კაპიტალი	დაგროვილი ზარალი	სულ კაპიტალი
ნაშთი 1 იანვარი 2020 (გადაანგარიშებული)	6,240	(102,479)	(96,239)
სულ წლის სრული ზარალი	-	(16,071)	(16,071)
ნაშთი 31 დეკემბერი 2020 (გადაანგარიშებული)	6,240	(118,550)	(112,310)
სააქციო კაპიტალის ზრდა	2,638	-	2,638
სულ წლის სრული მოგება	-	2,680	2,680
ნაშთი 31 დეკემბერი 2021	8,878	(115,870)	(106,992)

ხელმძღვანელობის სახელით:

სოლიკო ფრიდონაშვილი
გენერალური დირექტორი

1 ნოემბერი 2022

თბილისი, საქართველო

ლაშა ხარეზავა
მთავარი ბუღალტერი

1 ნოემბერი 2022

თბილისი, საქართველო

6-30 გვერდებზე მოცემული თანხმლები შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
(ათას ქართულ ლარში)

	შენიშნა	2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი	2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი (გადაანგარიშებული)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება/(ზარალი) გადასახადამდე		2,680	(16,071)
შესწორებები:			
ცვთის ხარჯი	7	255	253
გაუფასურებული და ჩამოწერილი ნაშთების აღდგენა *		(551)	(687)
ძირითადი საშუალებების გასვლიდან მიღებული ზარალი		-	35
ფინანსური შემოსავალი		(15)	(11)
ფინანსური ხარჯი	10,13	6,580	6,946
ფინანსურ და საინვესტიციო საქმიანობას მიკუთვნებული საკუროსო სხვაობით მიღებული სხვაობა		(5,598)	13,053
ფულადი სახსრების შემოძინება საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებებამდე		3,351	3,518
მარაგების ცვლილება		(1)	(35)
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების ცვლილება		283	(312)
გადახდილი ავანსებისა და სხვა აქტივების ცვლილება		(13)	35
გადასახდელი გადასახადების ცვლილება		45	(10)
მიღებული ავანსების ცვლილება		1,892	(256)
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანების ცვლილება		(403)	42
ფულადი სახსრების შემოძინება საოპერაციო საქმიანობიდან		5,154	2,982
მიღებული პროცენტი		15	11
გადახდილი პროცენტი	13	(3,229)	(4,749)
წმინდა ფულადი სახსრების შემოძინება/(გადინება) საოპერაციო საქმიანობიდან		1,940	(1,756)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შესყიდვა		-	(15)
გაცემული სესხის მიღება		611	722
წმინდა ფულადი სახსრების შემოძინება საინვესტიციო საქმიანობიდან		611	707
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან			
ნასესხები სახსრების მიღება	13	2,877	1,196
ნასესხები სახსრების დაფარვა	13	(6,576)	(430)
სააქციო კაპიტალის ზრდა		2,638	-
საიჯარო ვალდებულებების დაფარვა	10	(67)	-
წმინდა ფულადი სახსრების (გადინება)/შემოძინება საფინანსო საქმიანობიდან		(1,128)	766
საკუროსო სხვაობის ცვლილების ეფექტი ფულსა და ფულის ექვივალენტებზე		60	163
ფულისა და ფულის ექვივალენტების წმინდა ზრდა/(შემცირება)		1,423	(283)
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	12	279	399
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	12	1,762	279

* გაუფასურებული და ჩამოწერილი ნაშთების აღდგენა მოიცავს ჩამოწერილი გაცემული სესხების აღდგენას და სავაჭრო და დებიტორული დავალიანების გაუფასურების ხარჯს.

ხელმძღვანელობის სახელით:

სოლიკო ფრიდონაშვილი
გენერალური დირექტორი

1 ნოემბერი 2022
თბილისი, საქართველო

ლაშა ხარებავა
მთავარი ბუღალტერი

1 ნოემბერი 2022
თბილისი, საქართველო

6-30 გვერდებზე მოცემული თანხმდები შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ვიბრო დიაგნოსტიკი, უცხოური საწარმოს - VIBRO DIAGNOSTIK F.Z.E-ს ფილიალი

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
(ათას ქართულ ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

„ვიბრო დიაგნოსტიკ“ (შემდგომში „ფილიალი“) 2013 წლის 27 დეკემბრის დარეგისტრირდა, როგორც უცხოური საწარმოს „Vibro Diagnostik – F.Z.E.“ (რეგისტრირებული არაბთა გაერთიანებულ საემიროებში; შემდგომში „მფლობელი“) ფილიალი. ფილიალის იურიდიული მისამართია ვოლსკის ქ. 2, ბათუმი, საქართველო. ფილიალის ძირითადი საქმიანობები მოიცავს ნავთობისა და ნავთობპროდუქტების გადატვირთვას და შენახვას.

2021 წლის 31 დეკემბრის, 2020 წლის 31 დეკემბრისა და 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით საკუთრების სტრუქტურა იყო შემდეგი:

ედუარდ სურლევიჩი (ყაზახეთის მოქალაქე)	66%
ოთარ ქათამაძე (საქართველოს მოქალაქე)	12%
გივი გიგინეიშვილი (საქართველოს მოქალაქე)	11%
რატი ღვამბერია (საქართველოს მოქალაქე)	11%
	100%

2016 წლის ივნისში, მფლობელმა გააფორმა ხელშეკრულება შპს „ჯიარ ტრანს-შიფმენთთან“ (სს „საქართველოს რკინიგზის“ 100%-იანი შვილობილი ფილიალი). ხელშეკრულების თანახმად შპს „ჯიარ ტრანსშიფმენთი“ ფილიალს უწევს მმართველობით მომსახურებას ყოველკვარტალური მომსახურების საფასურის გადახდის სანაცვლოდ. მართვის ხელშეკრულება 2023 წლის მაისამდეა ძალაში. ფილიალის ძირითადი აქტივები მოიცავს ნავთობის 11 რეზერვუარს, რომლებიც ბათუმის ნავთობტერმინალში იჯარით აღებულ მიწის ნაკვეთზეა განთავსებული, რომელსაც, თავის მხრივ აქვს წვდომა ბათუმის საზღვაო ნავსადგურზე და კავშირი საქართველოს სარკინიგზო ქსელთან.

2. ახალი და შესწორებული ფინანსური საერთაშორისო სტანდარტების ინტერპრეტაციების გამოყენება

2021 წელს დაინერგა შემდეგი ახალი და შესწორებული სტანდარტები:

შემდეგი შესწორებები და ინტერპრეტაციები ძალაშია 2021 წლის 1 იანვარს ან მას შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის:

ფასს 4, ფასს 7, ფასს 9, ფასს 16 & ბასს 39-ის შესწორებები	საპროცენტო განაკვეთის ბაზისის ცვლილება - ფაზა 2
ფასს 16-ის შესწორება	კოვიდ-19-თან დაკავშირებული ქირის შეღავათები

ზემოთ აღნიშნული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების გადახედვა მოხდა ფილიალის ხელმძღვანელობის მიერ, მაგრამ მათ გამოყენებას არ ჰქონია რაიმე არსებითი ეფექტი ფილიალის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ახალი და განახლებული, გამოქვეყნებული, მაგრამ ძალაში ჯერ არშესული ფასს-ები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღისათვის ფილიალი არ იყენებს შემდეგ ახალ და განახლებულ, გამოქვეყნებულ მაგრამ ძალაში ჯერ არშესულ ფასს-ებს:

ფასს 17 (მათ შორის 2020 წლის ივნისის შესწორება სტანდარტში ფასს 17)	სადაზღვევო კონტრაქტები	ძალაშია 2023 წლის 1 იანვრიდან
შესწორება სტანდარტში ფასს 10 და ბასს 28	აქტივების გაყიდვა ან შეწირვა ინვესტორსა და მის მკავშირე ან ერთობლივ საწარმოს შორის	

ვიბრო დიაგნოსტიკი, უცხოური საწარმოს - VIBRO DIAGNOSTIK F.Z.E-ს ფილიალი

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ათას ქართულ ლარში)

შესწორება სტანდარტში ბასს 1	ვალდებულებათა კლასიფიკაცია მიმდინარე ან გრძელვადიან ვალდებულებებად	ძალაშია 2023 წლის 1 იანვრიდან
შესწორება სტანდარტში ფასს 3	მითითება კონცეპტუალურ ჩარჩოზე	ძალაშია 2022 წლის 1 იანვრიდან
შესწორება სტანდარტში ბასს 16	ძირითადი საშუალებები - დაგეგმილ გამოყენებამდე მიღებული შემოსავალი	ძალაშია 2022 წლის 1 იანვრიდან
შესწორება სტანდარტში ბასს 37	მძიმე კონტრაქტები - კონტრაქტის შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯი	ძალაშია 2022 წლის 1 იანვრიდან
წლიური შესწორებები - ფასს სტანდარტების 2018-2020 წლების ციკლი	შესწორებები სტანდარტში ფასს 1 - ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება, ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტები, ფასს 16 - იჯარა და ბასს 41 - სოფლის მეურნეობა	ძალაშია 2022 წლის 1 იანვრიდან
შესწორება სტანდარტებში ბასს 1 და ფასს პრაქტიკის განცხადება 2	საბუღალტრო პოლიტიკების განმარტება	ძალაშია 2023 წლის 1 იანვრიდან
შესწორება სტანდარტში ბასს 8	საბუღალტრო შეფასებების განსაზღვრება	ძალაშია 2023 წლის 1 იანვრიდან
შესწორება სტანდარტში ბასს 12	გადავადებული გადასახადი, რომელიც დაკავშირებულია აქტივებთან და ვალდებულებებთან, რომლებიც წარმოიქმნება ერთი ტრანზაქციის შედეგად	ძალაშია 2023 წლის 1 იანვრიდან

ხელმძღვანელობა არ ელის, რომ ზემოთ ჩამოთვლილი სტანდარტების ამოქმედება მნიშვნელოვან ზეგავლენას მოახდენს ფილიალის ფინანსურ ანგარიშგებაზე მომავალ პერიოდებში.

3. მნიშვნელოვანი სადრიცხო პოლიტიკის მიმოხილვა

მომზადების საფუძველი. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბუთს ("ბასს") მიერ დამტკიცებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა ("ფასს") და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციების საერთაშორისო კომიტეტის ("ფაისკ") მიერ გამოცემული ინტერპრეტაციების შესაბამისად. ფილიალის საანგარიშო პერიოდი არის კალენდარული წელი, 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულებების საფუძველზე. ისტორიული ღირებულება ეფუძნება ამ აქტივების სანაცვლოდ მიცემული ფასეული აქტივების სამართლიან ღირებულებას.

სამართლიანი ღირებულება არის ის ფასი, რომელიც მიღებული იქნებოდა აქტივის გაყიდვისას ან გადახდილი ვალდებულების გადაცემისას გაზომვის დღეს ბაზრის მონაწილეთა შორის ჩვეულებრივი გარიგების საფუძველზე იმის მიუხედავად, შეიძლება ამ ფასზე პირდაპირ დაკვირვება, თუ იგი შეფასების სხვა ტექნიკით უნდა გაიზომოს. აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულება ის გაზომვისას ფილიალი ითვალისწინებს ამ აქტივის ან ვალდებულების მახასიათებლებს, თუ ბაზრის მონაწილეები გაითვალისწინებდნენ ამავე მახასიათებლებს გაზომვის დღეს აღნიშნული აქტივის ან ვალდებულების ფასდადების პროცესში. წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში შეფასების ანდა განმარტების მიზნებისათვის სამართლიანი ღირებულება განსაზღვრულია ამგვარ საფუძველზე. აღნიშნული არ ეხება აქციებზე დაფუძნებული გადახდის ტრანსაქციებს, რომლებიც ფასს 2 სტანდარტით რეგულირდება, იჯარის ტრანსაქციებს, რომლებიც ფასს 16 სტანდარტით რეგულირდება და იმ შეფასებებს, რომლებიც სამართლიანი ღირებულების მსგავსია, მაგრამ ასეთი არ არის, როგორცაა ბასს 2 სტანდარტით გათვალისწინებული წმინდა სარეალიზაციო ღირებულება ან ბასს 36 სტანდარტით გათვალისწინებული გამოყენებული ღირებულება.

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
(ათას ქართულ ლარში)

გარდა ამისა, ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, სამართლიანი ღირებულებ ის საზომები იყოფა 1-ელ, მე-2 და მე-3 დონეებად იმის მიხედვით, თუ რამდენად ხილულია სამართლიანი ღირებულებ ის გაზომვისას გამოყენებული მონაცემები და რა დატვირთვა გააჩნია ამ მონაცემებს მთლიანად სამართლიანი ღირებულებ ის განსაზღვრისას:

- 1-ელი დონის მონაცემები არის იდენტური აქტივების ან ვალდებულებების აქტიურ ბაზრებზე კოტირებული ფასები (კორექტირების გარეშე), რომლებზეც პირს ხელი მიუწვდება გაზომვის დღეს;
- მე-2 დონის მონაცემები არის პირველ დონეში შესულისგან განსხვავებული მონაცემები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად ხილულია აღნიშნული აქტივის ან ვალდებულების შემთხვევაში; და
- მე-3 დონის მონაცემები არის აქტივის ან ვალდებულების ისეთი მონაცემები, ხილული არ არის.

ფუნქციონირების უწყვეტობა. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა იმ დაშვებით რომ საწარმო ფუნქციონირებას განაგრძობს უწყვეტად და საბუღალტრო პოლიტიკების გამოყენება მოხდა თანმიმდევრულად. ამ შეფასებისას ხელმძღვანელობამ განიხილა ფილიალის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე განზრახვები, ოპერაციები და ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობა და გააანალიზა ბაზრებზე არსებული ვითარების გავლენა ფილიალის ოპერაციებზე.

2021 წლის 31 დეკემბრის, 2020 წლის 31 დეკემბრის და 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ფილიალს ჰქონდა დაგროვილი ზარალი 115,870 ლარის, 118,550 ლარისა და 102,479 ლარის ოდენობით, შესაბამისად.

2021 წლის 31 დეკემბრის, 2020 წლის 31 დეკემბრის და 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით სულ მიმდინარე ვალდებულებები აჭარბებს სულ მიმდინარე აქტივებს 70,067 ლარით, 66,368 ლარითა და 54,391 ლარით, შესაბამისად.

ფილიალის ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადება უწყვეტი საწარმოს პრინციპის საფუძველზე მართებულია შემდეგი გარემოებების გამო:

- ვადის დაფარვის ვადები და პირობები და დაკავშირებული მხარეებისგან სესხების გადახდებზე შეთანხმება მარტივია და ფილიალს შეუძლია გაახანგრძლივოს სესხებისა და გადასახდელების ვადა ფინანსური სირთულეების შემთხვევაში. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დაკავშირებული მხარეების მიმართ მიმდინარე დავალიანება შეადგენს 49,867 ლარს. დაკავშირებულმა მხარეებმა გამოთქვეს წერილობითი თანხმობა აუცილებლობის შემთხვევაში დაფარვის ვადის შეცვლის შესახებ.
- საბოლოო მფლობელი გამოხატავს მზაობას, ფილიალის საქმიანობის შემდგომი დაფინანსების და ვალდებულებების დაფარვის მზაობას საჭიროების შემთხვევაში, ახლო მომავალში გაცემული დამატებითი დაფინანსების მეშვეობით. ეს, ასევე, დადასტურებულია მისგან დამატებითი დაფინანსებების მიღებით წინა პერიოდებში.
- გადატვირთვის მომსახურებიდან მიღებული ამონაგები მნიშვნელოვნად გაიზარდა შემდგომ პერიოდში და 2022 წლის პირველი 8 თვისთვის 2021 წლის წლიურ ამონაგებთან შედარებით 66%-იან ზრდას შეადგინა. ზრდა გამოიწვია ახალი ხელშეკრულებების გაფორმებამ.

ფუნქციონალური ვალუტა. ფილიალის ფუნქციონალური ვალუტა არის ლარი, რომელიც წარმოადგენს იმ ეკონომიკური გარემოს ვალუტას, რომელშიც ეს პირი ახორციელებს საქმიანობას („ფუნქციონალური ვალუტა“) წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების წარდგენის ვალუტა არის ქართული ლარი („GEL“) ყველა თანხა დამრგვალებულია უახლოეს ათასეულამდე, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

ურთიერთობათვლა. ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები იქვითება და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აისახება წმინდა თანხით იმ შემთხვევაში, თუ პირს გააჩნია იურიდიულად აღსრულებადი უფლება, გაქვითოს აღიარებული თანხები და განზრახული აქვს, აქტივი ჩათვალოს წმინდა ღირებულებით ან ერთდროულად მოახდინოს აქტივის რეალიზაცია და დაფაროს ვალდებულება. შემოსავალი და ხარჯი არ იქვითება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგებაში, თუ ეს არ არის სავალდებულო ან ნებადართული რომელიმე საბუღალტრო სტანდარტით ან ინტერპრეტაციით და ინდივიდუალურად განმარტებული ფილიალის საბუღალტრო პოლიტიკაში.

ამონაგები. მომხმარებელთან ხელშეკრულებებიდან მიღებული შემოსავალი აღიარდება, როდესაც საქონელზე ან მომსახურებაზე კონტროლი გადაეცემა მომხმარებელს იმ თანხით, რომელიც ასახავს იმ ანაზღაურებას, რომელსაც ფილიალი მოელოდა, რომ დაიხარჯოს ამ საქონლის ან მომსახურების სანაცვლოდ.

ფილიალი აფასებს თავის ამონაგების ოპერაციებს კონკრეტული კრიტერიუმების მიხედვით, რათა დაადგინოს, მოქმედებს თუ არა როგორც მარწმუნებელი თუ აგენტი. ფილიალმა დაასკვნა, რომ ის არის მარწმუნებელი ამონაგების ყველა ოპერაციაში (რადგან, როგორც წესი, ის აკონტროლებს საქონელს და მომსახურებას კლიენტისთვის გადაცემამდე).

ფინანსურ ანგარიშგებაში ფილიალი აღიარებს შემდეგ შემოსავალს:

გადატვირთვის მომსახურება

გადატვირთვის მომსახურებიდან მიღებული ამონაგები აღიარდება იმ მომენტში, როდესაც საქონლის კონტროლი გადაეცემა მომხმარებელს, ზოგადად, როდესაც საქონელი გადაეცემა მომხმარებელს. ამონაგები აღირიცხება იმ ოდენობით, რომელიც ასახავს იმ ანაზღაურებას, რომელსაც ფილიალი ელის ამ საქონლის სანაცვლოდ.

სახელშეკრულებო ნაშთები

სახელშეკრულებო აქტივები

სახელშეკრულებო აქტივი არის მომხმარებლისთვის გადაცემული საქონლის ან მომსახურების სანაცვლოდ ანაზღაურების უფლება. თუ ფილიალი ახორციელებს მომხმარებლისთვის საქონლის ან მომსახურების გადაცემას, სანამ კლიენტი გადაიხდის ანაზღაურებას ან გადახდის დასრულებამდე, სახელშეკრულებო აქტივი აღიარებულია გამომუშავებულ ანაზღაურებაზე, რომელიც პირობითია. ფილიალს არ გააჩნია სახელშეკრულებო აქტივები.

სახელშეკრულებო ვალდებულებები

სახელშეკრულებო ვალდებულება არის კლიენტისთვის საქონლის ან მომსახურების გადაცემის ვალდებულება, რომლისთვისაც ფილიალმა მიიღო ანაზღაურება (ან და გადასახდელი თანხა) მომხმარებლისგან. თუ კლიენტი იხდის საფასურს მანამ, სანამ ფილიალი გადასცემს საქონელს ან მომსახურებას მომხმარებელს, აღიარდება სახელშეკრულებო ვალდებულება. სახელშეკრულებო ვალდებულებები აღიარდება შემოსავალად, როდესაც ფილიალი ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს.

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ათას ქართულ ლარში)

უცხოური ვალუტები. ისეთი ვალუტა რომელიც განსხვავდება პირის ფუნქციონალური ვალუტისაგან (უცხოური ვალუტა) აღიარებულია ტრანზაქციის თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით. ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი ნაკადები გადაყვანილია მოცემულ თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით. ყველა რეალიზებული და არარეალიზებული მოგება და ზარალი, რომელიც წარმოშობილია საკურსო სხვაობით, შედის პერიოდის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ფილიალის მიერ გამოყენებული გაცვლითი კურსები შემდეგნაირია:

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
ლარი/1 აშშ დოლარი	3.0976	3.2766
ლარი/1 ევრო	3.5040	4.0233

მოგების გადასახადები. მოგების გადასახადები ირიცხება საანგარიშგებო თარიღისათვის სრულად ან არსებითად ძალაში შესული ქართული კანონმდებლობის შესაბამისად. 2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა კომპანიების დაბეგვრის არსებული მოდელის ცვლილება, რომელიც ყველა პირისათვის, გარდა გარკვეული ფინანსური ინსტიტუტებისა, ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვარს. ახალი მოდელი ითვალისწინებს გაუნაწილებელი მოგების დაბეგვრას 0%-იანი განაკვეთით, ხოლო განაწილებული მოგების დაბეგვრას 15%-იანი მოგების გადასახადით. ადრე მოქმედი მოდელით კომპანიებს მოგებას გადასახადამდე 15%-იანი გადასახადი ერიცხებოდა იმის მიუხედავად, იგი კომპანიაში რჩებოდა თუ დივიდენდების სახით გაიშვებოდა. მოგების გადასახადის დარიცხვის ახალი წელი ფილიალისთვის ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. საგადასახადო ბაზა მოიცავს როგორც რეალურ, აგრეთვე ნაგულისხმევ მოგების განაწილებას, მათ შორის:

- განაწილებული მოგება;
- გაწეული ხარჯები ან სხვა გადახდები, რომლებიც არაა კავშირში ეკონომიკურ საქმიანობასთან;
- საქონლის/მომსახურების უფასო მიწოდება ან/და ფულადი სახსრების გადარიცხვა, რომლებიც არ უკავშირდება ეკონომიკურ აქტივობას; და
- წარმომადგენლობითი ხარჯები, რომლებიც აჭარბებს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ მაქსიმალურ ოდენობას.

განაწილებულ მოგებაზე დარიცხული მოგებიდან გადასახადი აღიარდება ხარჯად დივიდენდების გამოცხადების მომენტისათვის და მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აისახება „მოგებიდან გადასახადის“ ჯგუფში. მიმდინარე და წარსული პერიოდების მიმდინარე საგადასახადო აქტივი და საგადასახადო ვალდებულებები აისახება იმ თანხით, რომელიც, სავარაუდოდ უნდა გადაეხადოს საგადასახადო ორგანოებს ან მიღებულ იქნეს მათგან.

სხვა კომპონენტებზე დაწესებული გადასახადი მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აისახება ჯგუფში „საგადასახადო ხარჯები“.

ახალი კანონმდებლობის ამოქმედების შედეგად, აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო ბაზამ დაკარგა ეკონომიკური მნიშვნელობა. ახალი კორპორატიული დაბეგვრის მოდელით ბასს 12 სტანდარტით - „მოგებიდან გადასახადი“ გათვალისწინებული გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები და აქტივები აღარ გამოიყენება.

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია როგორც ღირებულებას გამოკლებული აკუმულირებული ცვეთა და სადაც საჭიროა გაუფასურების რეზერვი.

მცირე სარემონტო და ტექნიკური მომსახურების სამუშაოების ხარჯები ხარჯად აღიარდება მათი გაწევისას. ძირითადი საშუალებების მთავარი ნაწილების ან კომპონენტების გამოცვლის ხარჯები კაპიტალიზირდება და ხდება ჩანაცვლებული ნაწილების თავიდან მოშორება.

რეალიზაციიდან მიღებული მოგება-ზარალი განსაზღვრულია საბალანსო ღირებულების ცვლილების შედარებიდან გამომდინარე და აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში სხვა საოპერაციო შემოსავალსა და ხარჯების ფარგლებში.

ცვეთა. ძირითადი საშუალებების ცვეთის კალკულაცია ხდება წრფივი მეთოდით, რათა ღირებულება განაწილდეს მათ სარგებლიანობის ვადაზე ნარჩენ ღირებულებამდე.

შეფასებული სარგებლიანობის ვადა, ნარჩენი ღირებულებები და ცვეთის დარიცხვის მეთოდი გადაიხედება ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს, ხოლო შეფასების ნებისმიერი ცვლილების ეფექტი აღირიცხება პროსპექტიულად. ცვეთის განაკვეთებია:

	სასიცოცხლო ვადა
რეზერვუარები	30 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	5 წელი
ავეჯი და სხვა ძირითადი საშუალებები	5-25 წელი

აქტივის ნარჩენი ღირებულება არის განსაზღვრული რაოდენობა, რასაც ფილიალი მიიღებს აქტივის რეალიზაციიდან გამოკლებული გაყიდვისთვის საჭირო ხარჯები, იმ შემთხვევაში თუკი აქტივი იქნება მისი სარგებლიანობის ვადის ამოწურვის პერიოდში.

ძირითადი საშუალების აღიარება წყდება მისი რეალიზაციისას ან მაშინ, თუ აქტივის მოხმარების შედეგად ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ ივარაუდება.

რეზერვები - რეზერვები აღიარდება, როდესაც ფილიალს უჩნდება მიმდინარე ვალდებულება (სამართლებრივი ან კონსტრუქციული) წარსული ხდომილების გამო, სავარაუდოა, რომ ფილიალს მოეთხოვება ამ ვალდებულების დაფარვა და ვალდებულების ოდენობის სარწმუნოდ გაზომვა შესაძლებელია.

რეზერვად აღიარებული თანხა არის საანგარიშგებო დღეს მიმდინარე ვალდებულების დასაფარად საჭირო კომპენსაციის შეფასებული ოდენობა, ვალდებულებასთან დაკავშირებული რისკებისა და განუსაზღვრელობების გათვალისწინებით. როდესაც რეზერვი ფასდება მიმდინარე ვალდებულების დასაფარად სავარაუდოდ საჭირო ფულადი ნაკადებით, მისი საბალანსო ღირებულება არის ამ ფულადი ნაკადების მიმდინარე ვალდებულება (თუ დროში ფულის ღირებულების ეფექტი არსებითი ოდენობისაა).

თუ რეზერვის დასაფარად საჭირო ყველა ან ზოგიერთი ეკონომიკური სარგებელი მესამე მხარისგან უნდა იქნას მიღებული, მოთხოვნა აქტივად აღიარდება იმ შემთხვევაში, თუ კომპენსაციის მიღება თითქმის გარანტირებულია და მოთხოვნის ოდენობა სარწმუნოდ იზომება.

პირობითი აქტივები და ვალდებულებები - პირობითი ვალდებულებების აღიარება ფინანსურ ანგარიშგებაში არ ხდება. ისინი განიმარტება ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში, თუ ეკონომიკური სარგებლის მატარებელი რესურსების გადინების შესაძლებლობა ნაკლებ სავარაუდო არაა. პირობითი აქტივების აღიარება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ

ხდება, ისინი განიმარტება ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ეკონომიკური სარგებლის შემოდინების მოლოდინი რეალურია.

ფინანსური ინსტრუმენტები. ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები აღიარდება მაშინ, როდესაც პირი ხდება ინსტრუმენტების საკონტრაქტო პირობების მხარე.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აისახება სამართლიანი ღირებულებით. ტრანზაქციის ხარჯები, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების შესყიდვას ან გამოშვებას (მაგრამ არა მოგება-ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასახულისას), თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური აქტივების ან ფინანსური ვალდებულებების სამართლიან ღირებულებას ემატება ან აკლდება. ტრანზაქციის ხარჯები, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება მოგება-ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების შესყიდვას, დაუყოვნებლივ აისახება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური აქტივები. ყველა აღიარებული ფინანსური აქტივი, კლასიფიკაციის მიხედვით, თავდაპირველის შემდგომი აღიარებისას სრულად ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია

ფინანსური აქტივების კლასიფიკაციით, საწყისი აღიარებისას, დგინდება მათი შემდგომი შეფასება ამორტიზებული ღირებულებით. საწყისი აღიარებისას ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია დამოკიდებულია ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებსა და მათი მართვის ბიზნეს-მოდელზე. ფილიალი ფინანსურ აქტივებს ამორტიზებული ღირებულებით აფასებს, თუ დაკმაყოფილდა შემდეგი ორი პირობა: ფინანსურ აქტივს ფილიალი ფლობს ისეთი ბიზნეს-მოდელით, რომლის ამოცანა არის ფინანსური აქტივების ფლობა მათგან სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით; და ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს „მხოლოდ ძირითადი თანხისა და მის დასაფარ ნაწილზე გადასახდელ საპროცენტო გადახდებს (SPPI)“. ამ შეფასებას SPPI ტესტი ეწოდება და ის ინსტრუმენტის დონეზე ხორციელდება.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი - ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის სავალო ინსტრუმენტის ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და შესაბამის პერიოდზე საპროცენტო შემოსავლის განაწილების მეთოდი.

შესყიდული ან წარმოშობილი კრედიტგაუარესებული ფინანსური აქტივების (ანუ ისეთი ფინანსური აქტივებისა, რომელთა საკრედიტო ხარისხი გაუარესებულია უკვე თავდაპირველი აღიარებისას) გარდა, სხვა ფინანსური აქტივებისათვის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის ის განაკვეთი, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას ზუსტად ახდენს მოსალოდნელი ფულადი სახსრების შემოდინებების (მათ შორის არის ყველა გადახდილი ან მიღებული საკომისიო და ქულა, რომელიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის, ტრანზაქციის ხარჯებისა და სხვა პრემიუმებისა თუ ფასდათმობების განუყოფელ ნაწილს), მაგრამ არა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დისკონტირებას ფინანსური ინსტრუმენტის წმინდა საბალანსო ღირებულებამდე ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის განმავლობაში, ან თუ ეს მართებულია, უფრო მოკლე ვადაში. შესყიდული ან წარმოშობილი კრედიტგაუარესებული ფინანსური აქტივების შემთხვევაში, კრედიტ-კორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთი გამოითვლება მოსალოდნელი ფულადი ნაკადების, მაგრამ არა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის, დისკონტირებით საწყისი აღიარებისას დადგენილი სავალო ინსტრუმენტის ამორტიზებულ ღირებულებამდე.

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ათას ქართულ ლარში)

ფინანსური აქტივის ამორტიზებული ღირებულება არის ის ღირებულება, რომლითაც ფინანსური აქტივი ფასდება თავდაპირველი აღიარებისას, ძირითადი თანხის გადახდის გამოკლებითა და კუმულატიური ამორტიზაციის დამატებით, ამ საწყის ოდენობასა და ვადის ბოლოს ოდენობას შორის არსებულ სხვაობაზე ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებითა და ზარალის რეზერვის კორექტირებით. ფინანსური აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულება არის ფინანსური აქტივის ამორტიზებული ღირებულება ზარალის რეზერვით კორექტირებამდე.

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება - სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები ფიქსირებული ან დადგენადი გადახდებით, რომლებიც არ კვთრდება აქტიურ ბაზარზე. სესხები და მოთხოვნები (სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებისა და სხვადასხვა კონტრაგენტზე გაცემული სესხების ჩათვლით) აისახება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და გაუფასურების გამოკლებით. საპროცენტო შემოსავალი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, რაც არ შეეხება მოკლევადიან მოთხოვნებს, სადაც დისკონტირების ეფექტი არააარსებითია.

ფული და ფულის ექვივალენტები. ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ბანკებში განთავსებულ დეპოზიტებს მოთხოვნამდე ან სამ თვემდე საწყისი ვადის დეპოზიტებს. ფული და ფულის ექვივალენტები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. ფულსა და ფულის ექვივალენტებში არ შედის შეზღუდული ნაშთები ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისათვის.

ფინანსური აქტივების გაუფასურება - ფილიალი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვებს ყველა სავალო ინსტრუმენტისათვის აღრიცხავს ამორტიზებული ღირებულებით. ფილიალი მსზ-ის გამოთვლის გამარტივებულ მიდგომას იყენებს.

ამდენად, ფილიალი საკრედიტო რისკის ცვლილებას თვალს არ ადევნებს, არამედ დანაკარგების რეზერვს ანარიცხებს აღიარებს თითოეულ საანგარიშგებო დღეს მსზ არსებობის მანძილზე საფუძველზე. ფილიალი იყენებს ინდივიდუალურ მიდგომას მნიშვნელოვანი კლიენტების მიმართ, ხოლო სხვების მიმართ შემუშავებული აქვს დარეზერვების მატრიცა. ორივე მიდგომა დაფუძნებულია ისტორიულ საკრედიტო ზარალის გამოცდილებაზე, რომელიც კორექტირდება დებიტორებთან და ეკონომიკურ გარემოსთან დაკავშირებული საპროგნოზო ფაქტორებით.

ფილიალი აღიარებს ფინანსურ აქტივს გადფოლტებულად, როდესაც სახელშეკრულებო გადახდები ვადაგადაცილებულია. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, ფილიალმა შეიძლება ასევე მიიჩნიოს ფინანსური აქტივი გადფოლტებულად, როდესაც შიდა ან გარე ინფორმაცია მიუთითებს, რომ ფილიალი ნაკლებად სავარაუდოა, რომ მიიღებს საკონტრაქტო თანხებს სრულად, სანამ არ გაითვალისწინებს ფილიალის საკრედიტო მდგომარეობის გადახედვას. ფინანსური აქტივი ჩამოიწერება, როდესაც არ არსებობს გონივრული მოლოდინი სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების აღდგენის შესახებ.

ფინანსური აქტივი დეფოლტად ითვლება სახელშეკრულებო გადახდების 90 დღით ვადაგადაცილების შემთხვევაში. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, დეფოლტად შეიძლება აგრეთვე ჩაითვალოს ისეთი ფინანსური აქტივი, რომელზეც, შიდა თუ გარე ინფორმაცია მიუთითებს, რომ ნაკლებ მოსალოდნელი იქნება დარჩენილი სახელშეკრულებო თანხის სრულად მიღება ფილიალის მიერ ფლობილი კრედიტის გამძლიერებელი მექანიზმების გაუთვალისწინებლად.

ამოუღებადი (უიმედო) აქტივები ჩამოიწერება შესაბამისი გაუფასურების ზარალის რეზერვის ხარჯზე – ამგვარი თანხები ჩამოიწერება აქტივების დაბრუნების ყველა აუცილებელი პროცედურის დასრულების და ზარალის თანხის განსაზღვრის შემდეგ.

მანამდე ჩამოწერილი და შემდგომში ამოღებული თანხები მიეკუთვნება გაუფასურების ზარალის ანგარიშს, მოცემული წლის მოგების ან ზარალის მიხედვით.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა - ფილიალი ფინანსური აქტივის აღიარებას წყვეტს აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების საკონტრაქტო პირობების ვადის გასვლისას ან ამ ფინანსური აქტივისა და მის მფლობელობასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკისა და სარგებლის სხვა მხარეზე გადაცემისას. თუ ფილიალმამფლობელობის არსებითად ყველა რისკი და სარგებელი არც სხვა მხარეს გადასცა და არც შეინარჩუნა და კვლავაც აკონტროლებს გადაცემულ აქტივს, ფილიალი აღიარებს მასში შენარჩუნებულ წილს და მასთან დაკავშირებულ, თანხების გადახდის პოტენციურ ვალდებულებას. თუ ფილიალმა შეინარჩუნა ფინანსური აქტივის მფლობელობის არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, ის განაგრძობს ფინანსური აქტივის აღიარებას და აგრეთვე აღიარებს აღებული უზრუნველყოფილი სესხებიდან მიღებულ შემოსავალს.

ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივის აღიარების სრულად შეწყვეტისას, სხვაობა, ერთი მხრივ, აქტივის საბალანსო ღირებულებასა და, მეორე მხრივ, სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული და კაპიტალში დაგროვილი კუმულატიური მოგებისა ან ზარალისა და მიღებული და მისაღები ანაზღაურების ჯამს შორის, აღიარდება მოგებაში ან ზარალში. სხვა სრულ შემოსავალში სამართლიანი ღირებულებით (FVTOCI) ასახულად კლასიფიცირებულ სავალო ინსტრუმენტში ინვესტიციის აღიარების შეწყვეტისას, ჯამური მოგება ან ზარალი, რომელიც მანამდე დაგროვილი იყო ინვესტიციების გადაფასების რეზერვში, გადაკვალიფიცირდება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური ვალდებულებები და წილობრივი ინსტრუმენტები

კლასიფიცირება სესხად ან წილობრივ ინსტრუმენტად

ფილიალის მიერ გამოშვებული სავალო და წილობრივი ინსტრუმენტები ფინანსურ ვალდებულებად ან წილობრივ ინსტრუმენტად კლასიფიცირდება საკონტრაქტო პირობების, ასევე ფინანსური ვალდებულებისა და წილობრივი ინსტრუმენტის განსაზღვრების შესაბამისად.

წილობრივი ინსტრუმენტები

წილობრივი ინსტრუმენტი არის ნებისმიერი კონტრაქტი, რომელიც ცხადყოფს დარჩენილი წილის არსებობას რომელიმე პირის აქტივებში ყველა ვალდებულების გამოკლების შემდეგ. ფილიალის მიერ გამოშვებული წილობრივი ინსტრუმენტები აღიარდება მიღებული შემოსავლით, ემისიის პირდაპირი ხარჯების გამოკლებით. ფილიალის საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტების ხელახალი შესყიდვა აისახება ან გამოიქვითება პირდაპირ კაპიტალიდან.

ფილიალის საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტების ყიდვისას, გაყიდვისას, ემისიისას თუ გაუქმებისას მოგების ან ზარალის ასახვა მოგება-ზარალის ანგარიშგებაში არ ხდება.

ფინანსური ვალდებულებები

ფილიალის ფინანსური ვალდებულებები, რომლებიც წარმოდგენილია აღებული სესხებითა და სავაჭრო და სხვა გადასახდელებით, შემდგომში აისახება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა ფილიალი ფინანსური ვალდებულების აღიარებას წყვეტს მხოლოდ მაშინ, როდესაც ფილიალის ვალდებულებები სრულდება, უქმდება ან ვადა გასდის. სხვაობა აღიარება-შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ და გადასახდელ ანაზღაურებას შორის აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ათას ქართულ ლარში)

სააქციო კაპიტალი. სააქციო კაპიტალი აღიარებულია ფილიალის მიერ მიღებული შენატანების რეალური ღირებულებით.

დივიდენდები. დივიდენდები აღირიცხება აქციონერთა კაპიტალში მათი გამოცხადების პერიოდში. საანგარიშო პერიოდის შემდგომ გამოცხადებული დივიდენდები განიხილება, როგორც „შემდგომი მოვლენა“ და განმარტებულია შესაბამის ქვეთავში. გარიგებები აქციონერებთან აღირიცხება კაპიტალში.

წინასწარ გადახდილი გადასახადები. წინასწარ გადახდილი გადასახადები აისახება ნომინალური ღირებულებით, შეფასებული აღუდგენელი თანხების რეზერვის გამოკლებით. მოგების გადასახადისგან განსხვავებული გადასახადები აისახება ნომინალური ღირებულებით. საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები გროვდება ერთიან საგადასახადო ანგარიშზე საქართველოს შემოსავლების სამსახურში. ანგარიშსწორება ხორციელდება ნეტო საფუძველზე.

4. კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები და მოსაზრებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებასთან დაკავშირებით

სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებისას, რომლებიც აღწერილია შენიშვნაში #3, ხელმძღვანელობას ევალება შეფასებების, ვარაუდებისა და დაშვებების გაკეთება აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებების თაობაზე, რომლებიც სხვა წყაროებში მკაფიოდ არ ჩანს. შეფასებები და დაშვებები ეფუძნება ისტორიულ გამოცდილებას და სხვა შესაბამის ფაქტორებს. რეალური შედეგები შეფასებებისგან შეიძლება განსხვავდებოდეს.

შეფასებები და შესაბამისი დაშვებები რეგულარულად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასებების კორექტირება აღიარდება ამ კორექტირების გაკეთების პერიოდში, თუ კორექტირება მხოლოდ იმ პერიოდზე მოქმედებს, და აღიარდება კორექტირების და შემდგომ პერიოდებში, თუ კორექტირება მოქმედებს მიმდინარე და მომავალ პერიოდებზე.

გრძელვადიანი აქტივების გაუფასურება

გაუფასურება ხდება მაშინ, როდესაც აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას, რომელიც წარმოადგენს მის რეალურ ღირებულებას, გამოკლებული გასხვისების ხარჯები, და გამოყენების ღირებულებას შორის უმაღლესს. სამართლიანი ღირებულება, გამოკლებული გასხვისების დანახარჯების გაანგარიშება, ეფუძნება ხელმისაწვდომ მონაცემებს გაყიდვის სავალდებულო ტრანზაქციებიდან, რომლებიც განხორციელდა “გაშლილი ხელის მანძილის” პრინციპით მსგავსი აქტივებისთვის ან დაკვირვებადი საბაზრო ფასებს გამოკლებული აქტივის გასხვისების დამატებითი ხარჯები.

გამოყენების ღირებულების გაანგარიშება ეფუძნება დისკონტირებული ფულადი ნაკადის (DCF) მოდელს. ფულადი ნაკადები მიიღება მომდევნო ხუთი წლის ბიუჯეტიდან და არ მოიცავს რესტრუქტურისაციის აქტივობებს - ფილიალი ჯერ არ არის ვალდებული განახორციელოს მნიშვნელოვანი სამომავლო ინვესტიციები, რაც გააუმჯობესებს შესამოწმებელი CGU-ს აქტივის ფუნქციონირებას. ანაზღაურებადი თანხა მგრძნობიარეა DCF მოდელისთვის გამოყენებული დისკონტის განაკვეთის მიმართ, ასევე, მოსალოდნელი სამომავლო ფულადი შემოდილებისა და ექსტრაპოლაციის მიზნებისთვის გამოყენებული ზრდის ტემპის მიმართ. ფილიალის ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული დაშვებების საფუძველზე არაფინანსური აქტივები არ არის გაუფასურებული ფინანსურ ანგარიშგებაში.

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების გაუფასურების ზარალი

დებიტორული დავალიანების გაუფასურების რეზერვი ემყარება ფილიალის შეფასებას მომხმარებელთა კონკრეტული ნაშთების ამოღებადობის შესახებ. თუ არსებობს ძირითადი კლიენტების კრედიტუნარიანობის გაუარესება ან ფაქტობრივი ნაკლოვანებები უფრო მაღალია, ვიდრე შეფასებები, რეალური დებიტორული დავალიანება შეიძლება განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისგან. ფილიალის ყველა სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება ფასდება ინდივიდუალურად გაუფასურების რეზერვის დათვლისთვის. ფაქტობრივი შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს შეფასებებისგან და ფილიალის შეფასებები შეიძლება გადაიხედოს მომავალში, ნეგატიურად ან პოზიტიურად, რაც დამოკიდებულია შედეგსა ან მოლოდინებზე დაფუძნებული თითოეული ექსპოზიციის ირგვლივ არსებულ ფაქტებზე.

პოტენციური საგადასახადო ვალდებულებების შეფასება

გაურკვევლობა არსებობს რთული საგადასახადო რეგულაციების ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით. ფილიალი გონივრულ შეფასებებზე დაყრდნობით ადგენს დებულებებს საგადასახადო ორგანოების მიერ შემოწმების შესაძლო შედეგების შესახებ. ასეთი დებულებების ოდენობა ეფუძნება სხვადასხვა ფაქტორებს, როგორიცაა წინა საგადასახადო ინსპექტირების გამოცდილება და საგადასახადო რეგულაციების განსხვავებული ინტერპრეტაცია გადასახადის გადამხდელის მიერ და პასუხისმგებელი საგადასახადო ორგანოების მიერ ამგვარი ინტერპრეტაციის სხვაობა შეიძლება წარმოიშვას სხვადასხვა საკითხზე, ქვეყანაში არსებული პირობებიდან გამომდინარე.

5. გადაანგარიშება

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ფილიალმა აღმოაჩინა შეცდომები წინა პერიოდში გამოშვებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით:

ა) ძირითადი საშუალებების სასარგებლო სიცოცხლე ნაკლები ვადით იყო შეფასებული. ფილიალის ექსპერტთა და ტექნიკური პერსონალის ჯგუფმა შეაფასა თითოეული ქონების, დანადგარისა და აღჭურვილობის მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა. საოპერაციო ფაქტორებისა და ტექნიკური პროგრამის საფუძველზე განისაზღვრა ექსპლუატაციის ყველაზე რეალური თარიღები საწყისი აღიარებიდან. შესაბამისად, შეიცვალა ძირითადი საშუალებების წმინდა საბალანსო ღირებულება და ცვეთის ხარჯი, რომელიც შედის ამონაგების თვითღირებულებაში.

ბ) საიჯარო ვალდებულებისა და აქტივის გამოყენების უფლების თანხები არ იყო ზუსტი არასწორი კალკულაციის გამო, შედეგად, საიჯარო ვალდებულების მოკლევადიანი და გრძელვადიანი ნაწილებიც არასწორად იყო კლასიფიცირებული.

გ) მარაგების ნაშთი არასწორად იყო დარეზერვებული იმის გათვალისწინებით, რომ მარაგები კარგ მდგომარეობაშია და მათი წმინდა აღდგენადი ღირებულება აჭარბებს მათ საბალანსო ღირებულებას.

დ) 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გადასახდელი გადასახადები წარდგენილი იყო სხვა მიმდინარე ვალდებულების მუხლში და არ იყო განეტილი გადახდილ გადასახადებთან. გარდა ამისა, 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 19 ლარის ოდენობის საგადასახადო ჯარიმები არ იყო დარიცხული.

ვიბრო დიაგნოსტიკი, უცხოური საწარმოს - VIBRO DIAGNOSTIK F.Z.E-ს ფილიალი

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
(ათას ქართულ ლარში)

ე) ზოგიერთ დებიტორულ დავალიანებას ჰქონდა გაუფასურების ნიშნები წინა პერიოდებში, თუმცა არ მომხდარა მათი გათვალისწინება წინა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას. დამატებით, ერთი კონტრაგენტისგან მიღებული ამონაგები არასწორად აღიარდა სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების ანგარიშზე იმის გათვალისწინებით, რომ ფილიალს ამ კონტრაგენტისგან ჰქონდა მიღებული ავანსები.

ვ) ფილიალს საანგარიშო თარიღისთვის აღიარებული ჰქონდა ისეთი გადახდილი ავანსები, რომლისთვისაც ფილიალს უკვე ჰქონდა მომსახურება მიღებული, შესაბამისად, გადახდილი ავანსები ზედმეტად იყო გაზრდილი.

ზ) ნასესხები სახსრები დაკავშირებული მხარეებისგან ზედმეტად იყო შემცირებული საპროცენტო ხარჯის არ დარიცხვისა და ამორტიზირებული ღირებულების არასწორი გაანგარიშების გამო. დამატებით, ნასესხები სახსრების გრძელვადიანი და მოკლევადიანი ნაწილები არასწორად იყო განსაზღვრული.

თ) მიღებული ავანსები, რომლებიც წარმოადგენს არაფინანსურ ვალდებულებებს, გადაფასებული იყო თითოეული საანგარიშო პერიოდისთვის. შესაბამისად, ამონაგები და სხვა შემოსავალი არასწორი საკურსო განაკვეთით იყო აღიარებული.

ი) კრედიტორული დავალიანება გადაჭარბებული იყო იმ გადასახდელების გამო, რომლებზეც ფილიალის ვალდებულებები უკვე შესრულდა, გაუქმდა ან ვადა გაუვიდა.

კ) ამონაგების თვითღირებულება და ზოგადი ადმინისტრაციული ხარჯები არასწორად იყო კლასიფიცირებული.

ფილიალმა დააკორექტირა ეს შეცდომები იმ წინა პერიოდების შედარებითი თანხების ხელახალი დაზუსტებით, რომლებშიც მოხდა შეცდომები.

2020 წლის 31 დეკემბრის და ამავე თარიღით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების გადანგარიშების ეფექტები იყო შემდეგი:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება		წინა ანგარიშგებით 31/12/2020		გადაანგარიშება	გადაანგარიშებ ული
ძირითადი საშუალებები	ა)	8,775	3,037		11,812
აქტივის გამოყენების უფლება	ბ)	1,404	(407)		997
სულ გრძელვადიანი აქტივები		10,382	2,630		13,012
მარაგები	გ)	-	35		35
გადახდილი გადასახადები	დ)	337	(337)		-
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	ე)	2,286	(1,800)		486
გადახდილი ავანსები და სხვა მიმდინარე აქტივები	ვ)	41	16		57
სულ მიმდინარე აქტივები		2,943	(2,086)		857
სულ აქტივები		13,325	544		13,869
ნასესხები სახსრები - გრძელვადიანი	ზ)	100,795	(43,351)		57,444
საიჯარო ვალდებულება - გრძელვადიანი	ბ)	1,240	270		1,510
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		102,035	(43,081)		58,954

ვიბრო დიაგნოსტიკი, უცხოური საწარმოს - VIBRO DIAGNOSTIK F.Z.E-ს ფილიალი

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ათას ქართულ ლარში)

ნასესხები სახსრები - მიმდინარე	ზ)	2,299	41,205	43,504
საიჯარო ვალდებულება - მიმდინარე	ბ)	982	(75)	907
გადასახადები	დ)	-	734	734
მიღებული ავანსები	თ)	12,044	(3,108)	8,936
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	ი)	15,992	(2,848)	13,144
სულ მიმდინარე ვალდებულებები		31,317	35,908	67,225
სულ ვალდებულებები		133,352	(7,173)	126,179
 დაგროვილი ზარალი		 (126,267)	 7,717	 (118,550)
სულ კაპიტალი		(120,027)	7,717	(112,310)

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება		წინა		გადაანგარიშებულ
		ანგარიშგებით 31/12/2020	გადაანგარიშება	ული
ამონაგები	თ)	9,468	(185)	9,283
თვითღირებულება	ა)ვ)კ)	(4,561)	(462)	(5,023)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	კ)	(1,893)	825	(1,068)
გაუფასურების ზარალი	ე)	-	687	687
ფინანსური ხარჯი	ბ)ზ)	(7,702)	756	(6,946)
სხვა შემოსავალი, წმინდა	თ)	142	(104)	38
საკუროსო სხვაობით გამოწვეული ზარალი	თ)ი)	(14,097)	1,044	(13,053)
სულ წლის სრული მოგება		(18,632)	2,561	(16,071)

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება		წინა		გადაანგარიშებულ
		ანგარიშგებით	გადაანგარიშება	ული
წმინდა ფულადი ნაკადი საოპერაციო საქმიანობიდან		4,068	(5,824)	(1,756)
წმინდა ფულადი ნაკადი საინვესტიციო საქმიანობიდან		22	685	707
წმინდა ფულადი ნაკადი საფინანსო საქმიანობიდან		(4,177)	4,943	766
საკუროსო სხვაობის ეფექტი ფულსა და ფულის ექვივალენტებზე		(33)	196	163
ფულისა და ფულის ექვივალენტების წმინდა ცვლილება		(120)	-	(120)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება		წინა		გადაანგარიშებულ
		ანგარიშგებით 31/12/2019	გადაანგარიშება	ული
ძირითადი საშუალებები	ა)	9,453	2,553	12,006
აქტივის გამოყენების უფლება	ბ)	1,000	76	1,076
სულ გრძელვადიანი აქტივები		10,656	2,629	13,285
მარაგები	გ)	-	-	-
გადახდილი გადასახადები	დ)	308	(308)	-
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	ე)	148	3	151
გადახდილი ავანსები და სხვა მიმდინარე აქტივები	ვ)	38	54	92
სულ მიმდინარე აქტივები		893	(251)	642
სულ აქტივები		11,549	2,378	13,927

ვიბრო დიაგნოსტიკი, უცხოური საწარმოს - VIBRO DIAGNOSTIK F.Z.E-ს ფილიალი

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ათას ქართულ ლარში)

ნასესხები სახსრები - გრძელვადიანი	ფ)	66,232	(12,544)	53,688
საიჯარო ვალდებულება - გრძელვადიანი	ბ)	1,206	239	1,445
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		<u>67,438</u>	<u>(12,305)</u>	<u>55,133</u>
ნასესხები სახსრები - მიმდინარე	ფ)	22,088	10,152	32,240
საიჯარო ვალდებულება - მიმდინარე	ბ)	912	(354)	558
გადასახადები	დ)	-	744	744
მიღებული ავანსები	თ)	8,931	261	9,192
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	ი)	13,575	(1,276)	12,299
სულ მიმდინარე ვალდებულებები		<u>45,506</u>	<u>9,527</u>	<u>55,033</u>
სულ ვალდებულებები		<u>112,944</u>	<u>(2,778)</u>	<u>110,166</u>
დაგროვილი ზარალი		(107,635)	5,156	(102,479)
სულ კაპიტალი		<u>(101,395)</u>	<u>5,156</u>	<u>(96,239)</u>

6. ამონაგები

2021 და 2020 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლების განმავლობაში ფილიალის მთლიანი ამონაგები შედგებოდა:

	2021	2020
გადატვირთვის მომსახურებიდან მიღებული ამონაგები	11,057	9,283
სულ	<u>11,057</u>	<u>9,283</u>

7. ამონაგების თვითღირებულება

2021 და 2020 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლების განმავლობაში ფილიალის ამონაგების თვითღირებულება შედგებოდა:

	2021	2020
გადატვირთვის მომსახურების ხარჯი	6,766	4,450
ხელფასები და სხვა სარგებელი	289	248
ცვეთა და ამორტიზაცია	255	253
დაზღვევა	66	66
რემონტი და კომუნალურები	10	6
სულ	<u>7,386</u>	<u>5,023</u>

8. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

2021 და 2020 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლების განმავლობაში ფილიალის ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები იყო:

	2021	2020
ხელფასები და სხვა სარგებელი	652	596
სხვა	361	472
სულ	<u>1,013</u>	<u>1,068</u>

ვიბრო დიაგნოსტიკი, უცხოური საწარმოს - VIBRO DIAGNOSTIK F.Z.E-ს ფილიალი

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ათას ქართულ ლარში)

9. ძირითადი საშუალებები

	რეზერვუარები	ავეჯი და სხვა ძირითადი საშუალებები	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
თვითღირებულება 1 იანვარი 2020	12,683	150	71	12,904
შესყიდვა რეალიზაცია	- (35)	15 -	- -	15 (35)
31 დეკემბერი 2020	12,648	165	71	12,884
შესყიდვა	-	-	-	-
31 დეკემბერი 2021	12,648	165	71	12,884
ოპერატიული იპოთეკა 1 იანვარი 2020	(810)	(60)	(28)	(898)
წლიური ცვეთა	(152)	(15)	(7)	(174)
31 დეკემბერი 2020	(962)	(75)	(35)	(1,072)
წლიური ცვეთა	(152)	(17)	(7)	(176)
31 დეკემბერი 2021	(1,114)	(92)	(42)	(1,248)
31 თებერვალი 2019	11,873	90	43	12,006
31 დეკემბერი 2020	11,686	90	36	11,812
31 დეკემბერი 2021	11,534	73	29	11,636

ფილიალის ძირითადი საშუალებები დაგირავებულია ნასესხები სახსრების (შენიშვნა 13) საფუძველზე.

10. აქტივის გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულებები

ფილიალი, როგორც მოიჯარე

ფილიალს სამი საიჯარო ხელშეკრულება აქვს მიწის ნაკვეთსა და შენობაზე, 6-დან 30 წლამდე საიჯარო ვადით. ფილიალის ვალდებულებების მის იჯარასთან დაკავშირებით უზრუნველყოფილია მეიჯარის უფლებით უფლებრივად დატვირთულ აქტივებზე. ზოგადად, ფილიალს ეკრძალება საიჯარო აქტივების გადაცემა და ქვეიჯარა. საიჯარო ხელშეკრულება არ მოითხოვს ფილიალისგან კონკრეტული ფინანსური კოეფიციენტების შენარჩუნებას. ქვემოთ მოცემულია აქტივის გამოყენების უფლების ღირებულება და პერიოდის განმავლობაში მოძრაობა:

აქტივის გამოყენების უფლება	მოძრაობა
1 იანვარი 2020	1,076
ცვეთა	(79)
31 დეკემბერი 2020	997
ცვეთა	(79)
დამატება	151
31 დეკემბერი 2021	1,069

ვიბრო დიაგნოსტიკი, უცხოური საწარმოს - VIBRO DIAGNOSTIK F.Z.E-ს ფილიალი

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ათას ქართულ ლარში)

ქვემოთ მოცემულია საიჯარო ვალდებულებების ღირებულება და პერიოდის განმავლობაში მოძრაობა:

	2021	2020
1 იანვარი	2,417	2,003
ფინანსური ხარჯი	129	129
დამატება	151	-
გადახდა	(67)	-
საკურსო სხვაობა	(125)	285
31 დეკემბერი	2,505	2,417

11. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020	1 იანვარი 2020
სავაჭრო მოთხოვნები	4,315	4,624	4,254
გამოკლებული მოსალოდნელი	(4,198)	(4,138)	(4,103)
საკრედიტო ზარალი			
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	117	486	151

დებიტორულ მომსახურებას არ ერიცხება პროცენტი, დენომინირებულია ლარსა და აშშ დოლარში და როგორც წესი, ნორმალური საქმიანობის პირობებში, აქვს დაფარვის 30-დღიანი ვადა. კლიენტები იღებენ 30დღიან საშელავათო პერიოდს და მათგან მისაღები თანხები ითვლება ვადაგადაცილებულად, თუ მინიმუმ 91 დღეა გადაუხდელი.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოძრაობა 2021 და 2020 წლებში შეიძლება გაანალიზდეს შემდეგნაირად:

	მსზ მოძრაობა
მსზ 2019	(4,103)
(გაუფასურების ზარალი)	(35)
მსზ 2020	(4,138)
(გაუფასურების ზარალი)	(60)
მსზ 2021	(4,198)

ფილიალის ფინანსური აქტივების, წარმოდგენილი დებიტორული დავალიანების სახის, საკრედიტო რისკის ხარისხის მიხედვით იყო შემდეგი:

2021	არავადაგადაცილებული	<30 დღე	30-60	60-90	90>	სულ
მთლიანი	117	-	-	-	4,198	4,315
მსზ	-	-	-	-	(4,198)	(4,198)
2020	არავადაგადაცილებული	<30 დღე	30-60	60-90	90>	სულ
მთლიანი	486	-	-	-	4,138	4,624
მსზ	-	-	-	-	(4,138)	(4,138)

ვიბრო დიაგნოსტიკი, უცხოური საწარმოს - VIBRO DIAGNOSTIK F.Z.E-ს ფილიალი

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ათას ქართულ ლარში)

2019	არავადაგადაცილებული	<30 დღე	30-60	60-90	90>	სულ
მთლიანი	151	-	-	-	4,103	4,254
მსზ	-	-	-	-	(4,103)	(4,103)

12. ფული და ფულის ექვივალენტები

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020	1 იანვარი 2020
ფული ბანკში	1,762	279	399
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	1,762	279	399

ბანკში განთავსებული არც ერთი ნაშთი ვადაგადაცილებული არ არის. მათზე ზარალის რეზერვის აღიარება არ მომხდარა მათი მოკლევადიანი ბუნებიდან გამომდინარე. საბანკო ნაშთებში შედის საქართველოში, ბანკებში მოქმედი მიმდინარე ანგარიშები და გამოიყენება ფილიალის ყოველდღიური საქმიანობის დასაფინანსებლად.

2021 წლის 31 დეკემბრის, 2020 წლის 31 დეკემბრისა და 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ფილიალის ბანკებში განთავსებული ნაღდი ფულის უმეტესობა განთავსებულია „ფიტ რეიტინგის“ მიერ მოკლევადიანი B და გრძელვადიანი BB- რეიტინგის მქონე ბანკებში.

13. ნასესხები სახსრები

2021 წლის 31 დეკემბრის, 2020 წლის 31 დეკემბრისა და 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით აღებული სესხების ვადები და პირობები იყო:

ნასესხები სახსრები	ვალუტა	დაფარვის ვადა	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020	1 იანვარი 2020
კომერციული ბანკებიდან მიღებული სახსრები	აშშ დოლარი	2026	48,363	56,616	50,930
დაკავშირებული მხარეებისგან მიღებული სახსრები	აშშ დოლარი	2022-2023	46,201	44,332	34,998
დაკავშირებული მხარეებისგან მიღებული სახსრები	ლარი	2022	632	-	-
სულ ნასესხები სახსრები			95,196	100,948	85,928
მიმდინარე გრძელვადიანი სულ ნასესხები სახსრები			46,890 48,306 95,196	43,504 57,444 100,948	32,240 53,688 85,928

კომერციული ბანკებიდან მიღებული სახსრები ფილიალისთვის ითვალისწინებს ფინანსურ და არა-ფინანსურ კოვენანტებს. 2021 წლის განმავლობაში ფილიალს არ დაურღვევია ამ სესხებზე არსებული კოვენანტები.

ვიბრო დიაგნოსტიკი, უცხოური საწარმოს - VIBRO DIAGNOSTIK F.Z.E-ს ფილიალი

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ათას ქართულ ლარში)

ნასესხები სახსრების მოძრაობა 2021 წლის 31 დეკემბერს, 2020 წლის 31 დეკემბერს და 2020 წლის 1 იანვარს დასრულებული წლების განმავლობაში იყო:

	მოძრაობა
წმინდა სესხი 1 იანვარი 2020	85,928
დამატება ძირ თანხაზე	1,196
დარიცხული პროცენტი	(430)
გადახდილი ძირი თანხა	6,817
გადახდილი პროცენტი	(4,749)
საკურსო სხვაობის ზარალი	12,186
წმინდა სესხი 31 დეკემბერი 2020	100,948
დამატება ძირ თანხაზე	2,877
დარიცხული პროცენტი	(6,576)
გადახდილი ძირი თანხა	6,451
გადახდილი პროცენტი	(3,229)
საკურსო სხვაობის მოგება	(5,275)
წმინდა სესხი 31 დეკემბერი 2021	95,196

14. მიღებული ავანსები

მიღებული ავანსები წარმოადგენს კლიენტებისგან მიღებულ თანხებს და ფილიალის ვალდებულებას კლიენტებს მიაწოდოს საქონელი ან მომსახურება. ფილიალის მიღებული ავანსები მოსალოდნელია, რომ 2022 წელს აღიარდება შემოსავლებად, რადგან დაკავშირებულია იმ შესრულების ვალდებულებებთან, რომელიც საანგარიშო თარიღისთვის არ არის დასრულებული.

15. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

2021 წლის 31 დეკემბრის, 2020 წლების 31 დეკემბრისა და 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება იყო:

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020	1 იანვარი 2020
კრედიტორული დავალიანება	11,515	11,664	11,435
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	1,062	1,480	864
სულ	12,577	13,144	12,299

16. ფინანსური ინსტრუმენტები

სამართლიანი ღირებულების შეფასება ანალიზდება სამართლიანი ღირებულების იერარქიაში დაკავებული დონით:

(1) პირველი დონე არის შეფასება კვოტირებული ფასებით (არაკორექტირებული) იდენტური აქტივებისა თუ ვალდებულებების აქტიურ ბაზრებზე,

(2) მეორე დონის შეფასება არის შეფასების ტექნიკა, სადაც ყველა მნიშვნელოვან მონაცემზე დაკვირვება აქტივებისა და ვალდებულებების შემთხვევაში შესაძლებელია პირდაპირ (ანუ ფასებით) ან ირიბად (ანუ ფასების გავლით), და

(3) მესამე დონის შეფასება არის ისეთი შეფასება, რომელიც არ ეფუძნება დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (ანუ არადაკვირვებადი მონაცემები).

ხელმძღვანელობა ფინანსური ინსტრუმენტების კატეგორიზაციისას იყენებს სამართლიანი ღირებულების იერარქიაზე დაფუძნებულ შეფასებებს. თუ სამართლიანი ღირებულების შეფასებაში გამოყენებულია დაკვირვებადი მონაცემები, რომლებსაც მნიშვნელოვნად კორექტირება ესაჭიროება, ეს შეფასება მესამე დონისაა. შესაფასებელი მონაცემის მნიშვნელობა დგინდება სამართლიანი ღირებულების შეფასებით მთლიანობაში.

ფულისა და ფულის ექვივალენტების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა პირველი დონის მონაცემებით, ხოლო სხვა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება - მესამე დონის მონაცემებით.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები. ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთიანი ინსტრუმენტების შეფასებული სამართლიანი ღირებულება ეფუძნება მოსალოდნელ, სამომავლო ფულადი სახსრების მოძრაობას, რომელიც დისკონტირდება ახალი, მსგავსი საკრედიტო რისკისა და დარჩენილი ვადიანობის მატარებელი ინსტრუმენტების მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით. დისკონტირების განაკვეთი დამოკიდებულია კონტრაგენტის საკრედიტო რისკზე. 2021 წლის 31 დეკემბრის, 2020 წლის 31 დეკემბრის და 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ფინანსური აქტივების სამართლიანი ღირებულება მის საბალანსო ღირებულებასთანაა მიახლოებული.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ვალდებულებები. ფიქსირებულგანაკვეთიანი, მითითებული ვადიანობის ინსტრუმენტების სავარაუდო სამართლიანი ღირებულება გამოთვლილ იქნა მოსალოდნელი ფულადი სახსრების საფუძველზე, რომლებიც დისკონტირდა მსგავსი საკრედიტო რისკისა და დარჩენილი ვადიანობის ახალი ინსტრუმენტების მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით. ფილიალის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხული ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები მათს სამართლიან ღირებულებებთანაა მიახლოებული.

კაპიტალის რისკის მართვა - ფილიალი კაპიტალს მართავს იმის უზრუნველსაყოფად, რომ შეძლოს მოქმედი საწარმოს სტატუსის შენარჩუნება და, ამავდროულად, მოწილეთა უკუგება მაქსიმალურად გაიზარდოს სესხისა და საკუთარი კაპიტალის ბალანსის ოპტიმიზებით. ფილიალის ხელმძღვანელობა კაპიტალის სტრუქტურას რეგულარულად მიმოიხილავს. შემოწმების შედეგებზე დაყრდნობით, ფილიალი აბალანსებს კაპიტალის ზოგად სტრუქტურას დივიდენდების გადახდით, ახალი სესხების აღებით თუ ძველი სესხების დაბრუნებით.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები - ფილიალის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები მოიცავს ნასესხებ სახსრებს და სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებას. ამ ფინანსური ინსტრუმენტების მთავარი დანიშნულებაა ფილიალის ოპერაციების დაფინანსება. ფილიალს სხვადასხვა ფინანსური აქტივები გააჩნია, როგორებიცაა სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება და ფული და ფულის ექვივალენტები.

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020	1 იანვარი 2020
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	12	1,762	279	399
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	11	117	486	151
სულ ფინანსური აქტივები		1,879	765	550

ვიბრო დიაგნოსტიკი, უცხოური საწარმოს - VIBRO DIAGNOSTIK F.Z.E-ს ფილიალი

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ათას ქართულ ლარში)

		31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020	1 იანვარი 2020
ნასესხები სახსრები	13	95,196	100,948	85,928
საიჯარო ვალდებულება		2,505	2,417	2,003
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	15	12,577	13,144	12,299
სულ ფინანსური ვალდებულებები		110,278	110,278	100,230

ფილიალის ფინანსურ ინსტრუმენტებზე მოქმედი ძირითადი რისკებია სავალუტო, საპროცენტო განაკვეთის, საკრედიტო და ლიკვიდობის რისკები.

სავალუტო რისკი - სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფილიალის ფინანსურ შედეგებზე უარყოფით ზეგავლენას იქონიებს იმ ვალუტის გაცვლითი კურსების ცვლილება, რომლითაც ფილიალი სარგებლობს. ფილიალის ზოგიერთი ტრანზაქცია უცხოურ ვალუტაშია დაფიქსირებული. უცხოური ვალუტის რისკდამოკიდებულების სამართავად ფილიალი არ იყენებს წარმოებულ ინსტრუმენტებს.

აშშ დოლარში დენომინირებული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები მოცემულია ქვემოთ:

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020	1 იანვარი 2020
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	12	1,531	-	-
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	11	117	486	-
სულ ფინანსური აქტივები		1,648	486	-
		31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020	1 იანვარი 2020
ნასესხები სახსრები	13	95,196	100,948	85,928
საიჯარო ვალდებულება		2,505	2,417	2,003
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	15	5,112	5,715	4,621
სულ ფინანსური ვალდებულებები		102,813	109,080	92,552
წმინდა პოზიცია		(101,165)	(108,594)	(92,552)

ქვემოთ ცხრილში ნაჩვენებია ფილიალის მგრძნობელობა უცხოური ვალუტების მიმართ ფუნქციონალური ვალუტის კურსის 20%-იანი მერყეობის შემთხვევაში 2021 წლის 31 დეკემბრის, 2020 წლის 31 დეკემბრის და 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს საანგარიშგებო დღეს უცხოურ ვალუტაში დაფიქსირებულ ფულად კომპონენტებს:

	ეფექტი		
	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020	1 იანვარი 2020
მოგება/(ზარალი) გადასახადამდე	(20,233)/20,233	(21,719)/21,719	(18,510)/18,510

საპროცენტო განაკვეთის რისკი – საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი იმისა, რომ ცვლადი საპროცენტო განაკვეთის ცვლილება უარყოფითად აისახება ფილიალის ფინანსურ შედეგებზე. ფილიალზე საპროცენტო განაკვეთის შეზღუდული რისკი ვრცელდება, რადგან იგი სახსრებს სესხულობს მხოლოდ ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთებით.

ვიბრო დიაგნოსტიკი, უცხოური საწარმოს - VIBRO DIAGNOSTIK F.Z.E-ს ფილიალი

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
(ათას ჯართულ ლარში)

მგრძნობელობის ანალიზის შეზღუდვები

ზემოთ მოცემული ცხრილები ასახავს ერთი, ძირითადი დაშვების ცვლილების ეფექტს, როდესაც სხვა დაშვებები უცვლელია. სინამდვილეში, აღნიშნულ დაშვებებსა და სხვა ფაქტორებს შორის რეალური კორელაცია არსებობს. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ მოცემული მგრძნობიარობა არაწრფივია და შედეგებიდან უფრო დიდი ან მცირე ზეგავლენის ინტერპოლირება ან ექსტრაპოლირება არ შეიძლება.

მგრძნობელობის ანალიზში არ არის გათვალისწინებული ის ფაქტი, რომ ფილიალის აქტივები და ვალდებულებები აქტიურად იმართება. გარდა ამისა, ბაზრის რეალური მოძრაობის სხვადასხვა მომენტში ფილიალის ფინანსური მდგომარეობა შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს. მაგალითად,

ფილიალის ფინანსური რისკის მართვის სტრატეგია მიზნად ისახავს ბაზრის რყევის ზემოქმედების მართვას. როდესაც საინვესტიციო ბაზარი სხვადასხვა მანიშნებელ დონეს ცილდება, ხელმძღვანელობას შეუძლია გაყიდოს ინვესტიციები, შეცვალოს საინვესტიციო პორტფელის გადანაწილება და სხვა დამცავი ზომები მიიღოს. შედეგად, დაშვების ცვლილებას რეალურად შეიძლება ეფექტი არც ჰქონდეს ვალდებულებებზე, მაშინ, როდესაც აქტივები ბალანსზე საბაზრო ღირებულებითაა ასახული. ასეთ ვითარებაში, ვალდებულებებისა და აქტივების გაზომვის სხვადასხვა მეთოდმა შეიძლება აქციონერთა კაპიტალის რყევა გამოიწვიოს.

მგრძნობიარობის ანალიზის შეზღუდვებს შორისაა ბაზრის ჰიპოთეტური მოძრაობის გამოყენება იმ პოტენციური რისკის საჩვენებლად, რომელიც რეალურად მხოლოდ ფილიალის თვალსაზრისის ასახავს უახლოეს მომავალში ბაზრის ცვლილების შესახებ. ამ უკანასკნელის პროგნოზირება კი საკმარისი სანდოობით შეუძლებელია. ერთ-ერთი შეზღუდვა ისიცაა, რომ ყველა საპროცენტო განაკვეთი იდენტური სახით იცვლება.

საკრედიტო რისკი. ფილიალზე მოქმედებს საკრედიტო რისკი, რომელიც იმის რისკია, რომ კლიენტი დროულად ვერ დაფარავს ფილიალის მიმართ არსებულ დავალიანებას.

დებიტორული დავალიანების საბალანსო ღირებულება და ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ექვივალენტები წარმოადგენს საკრედიტო რისკის მაქსიმალურ ოდენობას. მიუხედავად იმისა, რომ დებიტორული დავალიანების შეგროვებაზე შეიძლება გავლენა იქონიოს ეკონომიკურმა ფაქტორებმა, ხელმძღვანელობა თვლის, რომ ფილიალისთვის არ არსებობს ზარალის მნიშვნელოვანი რისკი უკვე დაფიქსირებული რეზერვების მიღმა.

ლიკვიდობის რისკი - ლიკვიდობის რისკი არის რისკი იმისა, რომ ფილიალი ვერ შეძლებს დაფარვის ვადის დადგომისას ყველა ვალდებულების გადახდას. ქვემოთ მოცემულ ცხრილებში ნაჩვენებია ფილიალის არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებების ნარჩენი საკონტრაქტო დაფარვის ვადები, დაფარვის შეთანხმებულ პერიოდებთან ერთად, 2021 წლის 31 დეკემბრის, 2020 წლის 31 დეკემბრისა და 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით. ცხრილები შედგენილია ფინანსური ვალდებულებების არადისკონტირებული ფულადი ნაკადების გათვალისწინებით, იმ უახლოესი ვადის საფუძველზე, როდესაც ფილიალს შეიძლება გადახდა მოეთხოვოს.

	1 წელზე ნაკლები	1-5 წელი	სულ
31 დეკემბერი 2021			
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	12,577	-	12,577
ნასესხები სახსრები	55,206	58,205	113,411
საიჯარო ვალდებულება	184	3,156	3,340
	<u>67,967</u>	<u>61,361</u>	<u>129,328</u>

ვიბრო დიაგნოსტიკი, უცხოური საწარმოს - VIBRO DIAGNOSTIK F.Z.E-ს ფილიალი

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ათას ქართულ ლარში)

	1 წელზე ნაკლები	1-5 წელი	სულ
31 დეკემბერი 2020			
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	13,144	-	13,144
ნასესხები სახსრები	52,523	76,508	129,031
საიჯარო ვალდებულება	205	3,340	3,545
	<u>65,872</u>	<u>79,848</u>	<u>145,720</u>
	1 წელზე ნაკლები	1-5 წელი	სულ
1 იანვარი 2020			
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	12,299	-	12,299
ნასესხები სახსრები	40,388	78,319	118,707
საიჯარო ვალდებულება	189	3,139	3,328
	<u>52,876</u>	<u>81,458</u>	<u>134,334</u>

17. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები მოიცავს აქციონერებს, მეკავშირე საწარმოებს, ფილიალის ერთობლივ მფლობელობასა და კონტროლქვეშ არსებულ ერთეულებს და ძირითადი მმართველი პესონალის შემადგენლობას.

დაკავშირებულ მხარეებს შეუძლიათ ისეთ გარიგებებში შესვლა, რომლებსაც არადაკავშირებული პირები ვერ განახორციელებენ. დაკავშირებულ მხარეებს შორის ტრანზაქციები ხორციელდება სხვა შემთხვევებისგან განსხვავებული პირობებით.

დაკავშირებულ მხარეებთან არსებული თითოეული შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ეპყრობა ურთიერთობის ბუნებას და არა მხოლოდ მის სამართლებრივ ფორმას. დაკავშირებულ მხარეებთან ფილიალს გააჩნია შემდეგი ნაშთები:

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ამონაგები	4,141
ამონაგების თვითღირებულება	71
ფინანსური ხარჯი	<u>2,303</u>

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

მიღებული ავანსები	5,272
სავაჭრო და სხვა	4,090
კრედიტორული დავალიანება	<u>46,833</u>
ნასესხები სახსრები	

ვიბრო დიაგნოსტიკი, უცხოური საწარმოს - VIBRO DIAGNOSTIK F.Z.E-ს ფილიალი

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ათას ქართულ ლარში)

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ამონაგები	-	102	102
ფინანსური ხარჯი	38	2,643	2,681

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

მიღებული ავანსები	-	3,306	3,306
სავაჭრო და სხვა	-	4,257	4,257
კრედიტორული დავალიანება	-	-	-
ნასესხები სახსრები	6,287	38,046	44,333

2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით

მიღებული ავანსები	-	3,427	3,427
სავაჭრო და სხვა	-	3,726	3,726
კრედიტორული დავალიანება	-	-	-
ნასესხები სახსრები	4,137	30,861	34,998

ხელმძღვანელობის ანაზღაურება

ხელმძღვანელობის ანაზღაურებამ, რაც თანამშრომელთა მოკლევადიანი სარგებლითაა წარმოდგენილი, 2021 და 2020 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლების განმავლობაში შეადგინა 372 ლარი და 336 ლარი, შესაბამისად.

18. გარანტიები და პირობითი ვალდებულებები

დავა ბათუმის ნავთობტერმინალთან

2016 წლის დეკემბერში ფილიალმა თბილისის საქალაქო სასამართლოში („სასამართლო“) ბათუმის ნავთობტერმინალის მიმართ („BOT“) შეიტანა სარჩელი, გადაზიდვის ტარიფებთან დაკავშირებით წინასწარ შეთანხმებული პირობების დარღვევასთან დაკავშირებით. ფილიალი BOT-ისგან ითხოვს გადატვირთვის სერვისების განახლებას ადრე შეთანხმებული და სამართლიანი ტარიფებით და დაკარგული მოგების ანაზღაურებას. BOT-მა, თავის მხრივ, ფილიალის წინააღმდეგ წარადგინა შეგებებული სარჩელი გაწეული მომსახურების ანაზღაურების მოთხოვნით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 12 თებერვლის გადაწყვეტილებით, ვიბრო დიაგნოსტიკის სარჩელი სრულად დაკმაყოფილდა, შპს „ბათუმის ნავთობტერმინალის“ შეგებებული სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. BOT-მა სასამართლოს გადაწყვეტილება 2019 წლის აგვისტოში გაასაჩივრა მომდევნო ინსტანციის სასამართლოში. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2020 წლის 27 თებერვლის განჩინებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 12 თებერვლის გადაწყვეტილება გაუქმდა და ხელახალი განსახილველად გადაეგზავნა პირველი ინსტანციის სასამართლოს. თბილისის საქალაქო სასამართლომ გადასინჯულ საქმეზე 2021 წლის 11 ნოემბერს მიიღო გადაწყვეტილება და დააკმაყოფილა ფილიალის სარჩელი და მოპასუხეს დააკისრა ფილიალისთვის 16,142,764 აშშ დოლარის ოდენობის ანაზღაურება.

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ათას ქართულ ლარში)

თბილისის საქალაქო სასამართლოს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება გასაჩივრებულია BOT-ის მიერ და განიხილება თბილისის სააპელაციო სასამართლოში, რომელსაც გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღია. .

ფილიალმა BOT-ის წინააღმდეგ სარჩელი შეიტანა 2021 წლის 26 იანვარს ბათუმის საქალაქო სასამართლოში 12,492,173 აშშ დოლარის მიუღებელი შემოსავლის კომპენსაციის მოთხოვნით, ასევე, მოითხოვა მომსახურების გაწევა ნათელ და მუქ ნავთობპროდუქტებზე განსაზღვრული გადაზიდვის ტარიფებით და ტარიფების ცალმხრივად არ შეცვლა, ან კომპენსაციის მიღება ცალმხრივად გაზრდილი ტარიფებისთვის. შენობა, 25 რეზერვუარი და რამდენიმე ესტაკადა დაგირავებული იყო, როგორც სარჩელის გარანტია. მოსარჩელე აცხადებდა, რომ მიიღო ნებართვა რეზერვუარების რემოდელირებისთვის ნათელი ნავთობპროდუქტების გადაზიდვის მიზნებისთვის და გამოეყო BOT-ის ერთ-ერთი რეზერვუარი რემოდელირებისთვის განკუთვნილი რეზერვუარებიდან გამოშვებული ნავთობის შესანახად. სარჩელის მიხედვით, ყველა სარეკონსტრუქციო სამუშაოებს მოსარჩელე დააფინანსებს.

2021 წლის 16 ივლისს ბათუმის საქალაქო სასამართლომ სრულად დააკმაყოფილა ფილიალის სარჩელი და დაავალა BOT-ს გადაეხადა 12,492,173 აშშ დოლარი ფილიალისთვის, დაეფიქსირებინა განაკვეთები 3,26 აშშ დოლარი მსუბუქი ნავთობპროდუქტებისთვის და 5,50 აშშ დოლარი მუქი ნავთობპროდუქტებისთვის და მოპასუხეს შეეზღუდა ფილიალის მიერ 20 წყალსაცავის მშენებლობაში უკანონო ჩარევა. გადაწყვეტილებები BOT-მა გაასაჩივრა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში, რომელმაც 2022 წლის 8 ივნისის განჩინებით ძალაში დატოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე BOT-მა საქართველოს უზენაეს სასამართლოში საკასაციო საჩივარი შეიტანა. უზენაესი სასამართლო განიხილავს საჩივრის დასაშვებობას. გადაწყვეტილება ჯერ არ არის მიღებული.

ფილიალს მიაჩნია, რომ ორივე სარჩელი დასაბუთებულია და წარმატებული იქნება, რამდენადაც საჩივრები დასაბუთებული და შესაბამისი მტკიცებულებებით იქნება დადასტურებული. იმავდროულად, ფილიალი აგრძელებს BOT-ის მომსახურებით სარგებლობას და იხდის BOT-ის მომსახურების იმ ტარიფებს, როგორც ამას BOT ითხოვს მიმდინარე მომსახურებისთვის. ფილიალი ამ ტარიფებს მიზანშეწონილად არ თვლის და ელის, რომ სასამართლო პროცესის დასრულების შემდეგ ეს თანხები დაკორექტირდება. ამ მიზეზების გამო, ფილიალს და BOT-ს უთანხმოება აქვთ მათ შორის გადასახდელი თანხების ანგარიშების ნაშთებთან დაკავშირებით.

გადასახადები. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს სხვადასხვა ინტერპრეტაციისა და ხშირი ცვლილების შესაძლებლობა. გარდა ამისა, ტრანზაქციათა შეფასება საგადასახადო ორგანოებისა და ხელმძღვანელობის მხრიდან შეიძლება ერთმანეთს არ დაემთხვეს და ტრანსაქციები საგადასახადო ორგანოებმა ეჭვქვეშ დააყენოს. ამის გამო ფილიალს შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები.

საოპერაციო გარემო. საქართველო, როგორც განვითარებადი ბაზარი, ხასიათდება ისეთი რისკებით, მათ შორის ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური, იურიდიული და საკანონმდებლო რისკებით, რომლებიც არ არსებობს განვითარებულ ბაზარზე. წესები და კანონები, რომლებიც გავლენას ახდენს ბიზნესზე საქართველოში, სწრაფად ვითარდება და საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობა სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციებით ხასიათდება. საქართველოში ამჟამად მოღვაწე მეწარმეთა წინაშე დგას სხვა სამართლებრივი და ფისკალური გამოწვევებიც. საქართველოს ეკონომიკის მომავალი მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ხელისუფლების მიერ განხორციელებული ეკონომიკური, ფისკალური და მონეტარული ღონისძიებების ეფექტურობაზე, საკანონმდებლო, მარეგულირებელი და პოლიტიკური მოვლენების პარალელურად.

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში საქართველოში რამდენიმე საკანონმდებლო ცვლილება განხორციელდა, რომლებიც ძირითადად ქვეყნის ევროკავშირთან დაახლოების გეგმებს

უკავშირდება. 2016-2021 წლების განმავლობაში ჩატარებულ საკანონმდებლო ცვლილებებს ერთგვარად გზის გამკვლევის ფუნქცია ეკისრებოდა, საქართველო-ევროკავშირის დაახლოების სამოქმედო გეგმის პარალელურად მრავალი სხვა რეფორმა მოსალოდნელი.

19. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2022 წლის 21 თებერვალს რუსეთის პრეზიდენტმა ხელი მოაწერა აღმასრულებელ ბრძანებას დონეცკის სახალხო რესპუბლიკისა და ლუგანსკის სახალხო რესპუბლიკის აღიარების შესახებ. 2022 წლის 24 თებერვალს რუსეთი შეიჭრა უკრაინაში, რაც გადაიზარდა ქვეყნებს შორის სრულმასშტაბიან ომში.

ამ მოვლენების შემდეგ აშშ-მ, დიდმა ბრიტანეთმა, ევროკავშირმა და სხვა ქვეყნებმა გაახანგრძლივეს სანქციები რუსი ჩინოვნიკების, ბიზნესმენების და კომპანიების შესახებ. ასეთმა განვითარებამ რუსული ბიზნესებისთვის შეიძლება გამოიწვიოს საერთაშორისო კაპიტალისა და საექსპორტო ბაზრების ხელმისაწვდომობა, რუსული რუბლის შესუსტება, კაპიტალის ბაზრების კლება და სხვა უარყოფითი ეკონომიკური შედეგები.

ფილიალის ხელმძღვანელობა აკვირდება ეკონომიკურ და პოლიტიკურ ვითარებაში განვითარებულ მოვლენებს და იღებს ზომებს, რომლებსაც საჭიროდ მიიჩნევს ფილიალის ბიზნესის მდგრადობისა და განვითარებისთვის უახლოეს მომავალში. თუმცა, ამ მოვლენების შედეგებმა და მასთან დაკავშირებულმა სამომავლო ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს ფილიალის ოპერაციებზე.

20. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობამ დაამტკიცა და გამოსაშვებად ნება დართო 2022 წლის 1 ნოემბერს.